ქ. თბილისი, კაკაბაძის ქ. №33, ნაკვ. №01.15.05.004.119-ში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში

შ. პ. ს. "აიდეა რესარჩ სქუად"

ქ. თბილისი, კაკაბაძის ქ. №33, ნაკვ.
№01.15.05.004.119-ში იდივიდუალური
საცხოვრებელი სახლის პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების
ტექნიკური ანგარიში

შ.პ.ს.
"აიდეა რესარჩ სქუად"- ის
დირექტორი ა. გრიგორიანი

სამთო და გეოინჟინერიის
მაგისტრი, ინჟინერ-გეოლოგი გ. სიყმაშვილი

iDea Research Squad

ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

გაცემულია შ.პ.ს. "კატევე დეველოპმენტი"-ს მიერ
/დამკვეთის ან ორგანიზაციის დასახელება/

I. საერთო ცნობები

1. ობიექტის სრული დასახელება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი

2. ობიექტის მდებარეობა ქ. თბილისი, კაკაბაძის ქ. №33, ნაკვ. 01.15.05.004.119
/ადმინისტრაციული კუთვნილება და მისამართი/

3. მშენებლობის მოკლე დახასიათება ახალმშენებლობა
/ახალმშენებლობა, რეკონსტუქცია, გაფართოება/

II. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიებისთვის საჭირო მონაცემები.

4. დაპროექტების სტადია სტადია პროექტი
/წინასაპროექტო სტადია, პროექტი, მუშა პროექტი/

საპროექტო შენობა-ნაგებობების დახასიათება

5. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით ~~II (ენ 03.01-09 დანართი 3).~~

6. შენობის სართულიანობა და ზომები გეგმაში ორსართულიანი 16,0X38,0 მ

7. პირველი სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული ±0,00= 495,5 მ

8. სარდაფის იატაკის საპროექტო ნიშნული 491,5 მ

9. შენობის ტიპი კარკასული
/კარკასული, მონოლითური და სხვ./

10. საძირკვლის სავარაუდო ტიპი და ზომები წერტილოვანი

11. მოსალოდნელი საპროექტო დატვირთვა საძირკვლის ფუძეზე 500 ტ/მ

12. საამშენებლო უბნის ტოპოგეგმა ნაგებობის კონტურებით მასშ. 1 : ~~500~~ 1

პროექტის მთავარი კონსტრუქტორი

სარჩევი

1. შესავალი ---------- 2
2. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, გეომორფოლოგია და ჰიდროგრაფია 3
3. გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები ---------- 4
4. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ---------- 5
5. ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები ---------- 8
6. ფერდობის მდგრადობის გაანგარიშება ---------- 10
7. დასკვნები და რეკომენდაციები ---------- 11

დანართები

ტექნიკური დავალება ---------- 1 ფ.
ჭაბურღილების განლაგების სქემა ---------- 1 ფ
საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი ---------- 4 ფ.
ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი ---------- 8 ფ
ლაბორატორიული კვლევების ჯამური უწყისი ---------- 1 ფ
გრანულომეტრიული შედგენილობის ფაქტიური შედეგები ---------- 1 ფ
ერთღერძა კუმშვაზე გამოცდის შედეგები ---------- 5 ფ
სტატისტიკური დამუშავების შედეგები ---------- 2 ფ

ქ. თბილისი, კაკაბაძის ქ. №33, ნაკვ. №01.15.05.004.119-ში
ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების
ტექნიკური ანგარიში

1. შესავალი

შ.პ.ს. "კატევე დეველოპმენტი"-ს დაკვეთის საფუძველზე შ.პ.ს. "აიდეა რესარჩ სქუად"-ის გეოლოგების ჯგუფმა ქ. თბილისში, მთაწმინდაზე, კაკაბაძის ქუჩაზე ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით. ტექნიკური დავალების თანახმად, აღნიშნულ მოედანზე უნდა აშენდეს ორსართულიანი შენობა სარდაფის სართულით. შენობა გეგმაში რთული კონფიგურაციისაა, ზომებით 38,0x16,0 მ. შენობის ტიპი — რკინა-ბეტონის მონოლითური კარკასი, საძირკვლის სავარაუდო ტიპი — წერტილოვანი. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II. (ᲡᲜ 03.01-09 დანართი 3).

სამშენებლო მოედნის შესწავლისათვის ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: ანგარიშში გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები "ქ. თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება", შესწავლილია და გაანალიზებულია ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც საკვლევ უბანს ეხება. უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერებულია მიმდებარე ტერიტორია, ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად და ნიმუშების ასაღებად, გაყვანილია 5 შურფი და 3 ჭაბურღილი საერთო სიღრმით 41 გრძ/მ, ბურღვა მიმდინარეობდა საბურღი აგრეგატის УГБ – IBC-ის გამოყენებით, მშრალად, მექანიკურ-სვეტური მეთოდით, კერნის უწყვეტი ამოღებით. გრუნტებიდან აღებულია ნიმუშები, რომლებზეც ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. ჭაბურღილების გეგმური და სიმაღლითი მიბმა განხორციელდა დამკვეთის მიერ გადმოცემულ ტოპო-გეგმაზე. საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე

შედგენილია წინამდებარე დასკვნა. კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესების და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად – ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), პნ 01.05-08 (სამშენებლო კლიმატოლოგია), პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები), ს.ნ. და წ. IV-5-82 (მიწის სამუშაოები), ს.ნ. და წ. 2.02.02-85 (ჰიდროტექნიკური ნაგებობები), ს.ნ. და წ. 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები), ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები), პნ 01.01.-09 (სეისმომედეგი მშენებლობა), სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები, კლასიფიკაცია). საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები შესრულდა 2020 წლის ნოემბერში.

2. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, რელიეფი, გეომორფოლოგია და ჰიდროგრაფია

საკვლევი მოედანი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ნაწილში, მთაწმინდაზე. საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით განეკუთვნება IIIგ კლიმატურ ქვერაიონს (№61). წლის საშუალო ტემპერატურა 10,8°C, წლის აბსოლუტური მინიმუმი –24°C, აბსოლუტური მაქსიმუმი 38°C. ნალექების წლიური რაოდენობა 635 მმ-ს შეადგენს, ხოლო დღეღამური მაქსიმუმი — 154 მმ. თოვლის საფარის წონა 0,50 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ — 0,30 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ — 0,48 კპა. ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1, 5, 10, 15 და 20 წელიწადში ერთხელ — შესაბამისად 21, 23, 27, 28, და 29 მ/წმ. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე: თიხოვანი და თიხნარი — 18 სმ, მსხვილნატეხოვანი — 27 სმ.

საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით, ქ. თბილისის მაკროსეისმური ინტენსივობა MSK64 სკალის მიხედვით 8 ბალს შეადგენს, ხოლო სეისმურობის კოეფიციენტი A-0,17.

საკვლევი ტერიტორია განლაგებულია მამა-დავითის ქედის ჩრდილოეთ ფერდობის შუა ნაწილში, რომელიც ჩაჭრილია პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩით. უბნის რელიეფი ჩრდილოეთის მიმართულებით ძლიერ დახრილი, მშრალი ხევებით ძლიერ

დანაწევრებული, დადატერასებული და საყრდენი კედლებით გამაგრებული ზედაპირით არის წარმოდგეინილი. უშუალოდ, სამშენებლო მოედანის რელიეფი ჰორიზონტულია, ხელოვნურად დატერასებული და ბეტონის საყრდენი კედლებით გამაგრებული. სამშენებლო მოედანს ჩრდილოეთიდან ხელოვნურად დატერასებული საკარმიდამო ნაკვეთები ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან ღრმა მშრალი ხევი, ხოლო სამხრეთიდან პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩა, სამშენებლო მოედანი განაშენიანებულია, მასზე მდებარეობს ძველი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც დემონტაჟს ექვემდებარება. მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 493,0–498,0 მ-ის ფარგლებში მერყეობს.

ტერიტორიის მთავარ ჰიდროგრაფიულ ელემენტს წარმოადგენს მდ. მტკვარი შენაკადებით. მისი დინება ჩრდილოეთიდან სამხრეთით არის მიმართული. ნაპირები მკვეთრად გამოხატულია და 5-6 მ-ის სიმაღლის ბეტონის ჯებირებით არის დაცული. საკვლევი უბანი მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. მდინარიდან დაშორებულია 700 მ-ით, ჰიფსომეტრიულად მდინარის დონიდან 100 მ-ით მაღლა, მამადავითის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობის შუა ნაწილში მდებარეობს. ფერდობის ამ ნაწილში რამოდენიმე მშრალი ხევია განვითარებული.

3. გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების სქემის მიხედვით, ტერიტორია განთავსებულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის სამხრეთ ქვეზონაში. ტერიტორია აგებულია პალეოგენური დანალექი ფლიშური ნალექებით, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ზედა ეოცენური ასაკის ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობით. ქვიშაქვები მსხვილმარცვლოვანია, მკვრივი, მდგრადი. ქვიშაქვები ძირითადად საშუალო და სქელშრეებრივია. არგილიტები ძირითადად თხელშრეებრივია, ქვიშაქვის შრეებს შორის დასტებად არის განლაგებული. ძირითად ქანებზე ზემოდან ფრაგმენტულად განლაგებულია მეოთხეული ასაკის პროლუვიური გენეზისის თიხნარი და თანამედროვე ნაყარი გრუნტი.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით, ტერიტორია განთავსებულია თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში. გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება ტერიტორიის გეომორფოლოგიური პირობებით და გეოლოგიური აგებულებით. მიწისქვეშა წყლები გავრცელებულია კლდოვანი ქანების ნაპრალებში და ნაპრალური ხასიათის არის.

4. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულით ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის დანართი 10-ის თანახმად, განეკუთვნება III (რთული) სირთულის კატეგორიას. ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე ჭრილში გამოყოფილია სამი ფენა. ქვემოთ მოყვანილია ამ ფენების დახასიათება.

ფენა №1 ნაყარი გრუნტი – tQ_{IV} – თიხნარის მასა ღორღის და აგურის ჩანართებით, შემკვრივებული. ნაყარის ფენა წლების წინ მოსახლეობის მიერ მშრალი ხევის ამოსავსებად არის წარმოქმნილი. ფენა წარმოდგენილია არაერთგვაროვანი თიხური მასით, რომელიც შეიცავს კენჭებს, აგურის და ბეტონის ნამტვრევებს. გრუნტიდან აღებულ 6 ნიმუშზე საცრული მეთოდით შესწავლილია გრანულომეტრიული შედგენილობა, შედეგები მოყვანილია ცხრ. 1-ში. ცხრ. 1

ფრაქციის ზომა, მმ	>40.0	40.0-20.0	20.0-10.0	10.0-5.0	5.0-2.0	2.0-1.0	1.0-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-005	0.05-0.01	0.01-0.005	<0.005
საშუალო % რაოდ.	0.0	0.0	0.9	7.1	8.2	4.1	2.9	4.2	6.8	7.8	11.3	16.7	30.0
ჯამური % რაოდ	0.0	0.0	0.9	8.0	16.2	20.3	23.2	27.4	34.2	42.0	53.3	70.0	100.0

გრანულომეტრილი შედგენილობის და ფიზიკური თვისებების მონაცემების საფუძველზე, განისაზღვრა გრუნტის სიმტკიცის და დეფორმაციული თვისებების მახასიათებლები, რისთვისაც გამოყენებულია "методика оценки прочности и сжимаемости крупнообломочных грунтов. ДальНИИС 1989". პირობითი საანგარიშო მნიშვნელობა მიღებულია Ან 01.05-08 დანართი 3, ცხრ. 5-ის საფუძველზე. გრუნტის თვისებების ნორმატიული მნიშვნელობები მოცემულია ცხრ. 2-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში. ცხრ. 2

ბუნებრივი ტენიანობა	W	ერთ. ნაწ.	0.235
პლასიურობის ზედა ზღვარი	W_L	ერთ. ნაწ.	0.343
პლასიურობის ქვედა ზღვარი	Wp	ერთ. ნაწ.	0.209
პლასტიურობის რიცხვი	Ip	ერთ. ნაწ.	13.4
დენადობის მაჩვენებელი	I_L	ერთ. ნაწ.	0.17
ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ. ნაწ.	0.7
ნორმატიული სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	1.77
შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად	16°
ხვ. შეჭიდულობა	C	კგძ/სმ^2	0,33
დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ^2	100
პუასონის კოეფიციენტი	μ	ერთ. ნაწ.	0.35
პირობითი საანგარიშო წინაღობა	P_0	კგძ/სმ^2	1,5

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 24-ა-II კატეგორიას.

ფენა №2 თიხნარი - pδΘIV – მოყვითალო ფერის, ღორღის და ხვინჭის ჩანართებით, მყარი კონსისტენციის. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 4 ნიმუშით. ნატეხოვანი მასალის შემცველობის გამო, ნიმუშებზე ძვრაზე გამოცდები ვერ ჩატარდა. ამიტომ, შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: სიმკვრივე, ტენიანობა, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობა, ფორიანობის კოეფიციენტი, დენადობის მაჩვენებელი, ტენიანობის ხარისხი. მათი რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით, პნ 02.01-08-ის დანართი 2, ცხრ. 2, ცხრ. 3-ის და დანართი 3, ცხრ. 3-ის საფუძველზე მიღებულია გრუნტის სიმტკიცის და დეფორმაციის მახასიათებლების მნიშვნელობები. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 3-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში.

ცხრ. 3

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	1,95
2	მშრალი გრუნტის სიმკვრივე	ρδ	გ/სმ^3	1,65
3	გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე	ρs	გ/სმ^3	2,72
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	ერთ. ნაწ.	0,183
5	ფორიანობა	n	%	39
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ. ნაწ.	0,651
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ. ნაწ.	0,308

8	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	Wp	ერთ. ნაწ.	0,192
9	პლასტიურობის რიცხვი	Ip	ერთ. ნაწ.	11.7
10	დენადობის მაჩვენებელი	I_L	ერთ. ნაწ.	0,00
11	ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ. ნაწ.	0,7
12	პუასონის კოეფიციენტი	μ	ერთ. ნაწ.	0,35
13	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ^2	220
14	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	24^0
15	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ^2	0,31
16	პირობითი საანგარიშო წინაღობა	P_0	კგძ/სმ^2	2,5

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 33-ე-III კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ფენა №3 ქვიშაქვის და არგილიტის - P^3_2 – თხელშრეებრივი მორიგეობა, გამოფიტული, ნაპრალიანი. არგილიტის შრეების სიმძლავრე 3-5 სმ-ია, ქვიშაქვის შრეების სიმძლავრე 15-25 სმ-ს აღწევს. არგილიტები არა მდგრადია და ადვილად იშლებიან. ქვიშაქვები მკვრივია, მდგრადი, თიხურ ცემენტზე. არგილიტები ქვიშაქვის მკვრივ შრეებს შორის დასტებად არიან განლაგებულნი. შურფებში გაიზომა შრეების დაქანების აზიმუტი და ვარდნის კუთხე – Az 5-10°, <25-30°, რაც ფერდობის ექსპოზიციას ემთხვევა. ქვიშაქვის და არგილიტის შერფარდება მასივში 70:30. ლაბორატორიულად შესწავლილია ქვიშაქვის 4 და არგილიტის 2 ნიმუში, რომლებზეც ჩატარდა გამოცდები ერთღერძა კუმშვაზე, როგორც მშრალ, ასევე წყალნაჯერ მდგომარეობაში. გრუნტის თვისებების ნორმატიული მნიშვნელობები მოყვანილია ცხრილ 4-ში, არგილიტის თვისებების გათვალისწინებით, ხოლო ლაბორატორიული კვლევის შედეგები ჯამურ უწყისში. ცხრ. 4

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	2,38
2	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალნაჯერ მდგომარეობაში	R_C	მპა	16,0
3	დეფორმაციის მოდული	E	მპა	2000
4	პუასონის კოეფიციენტი	μ		0,25

სახსტანდარტი 25100-82-ის მიხედვით გრუნტი მიეკუთვნება დანალექ, შეცემენტებულ, არადარბილებად, საშუალო სიმტკიცის კლდოვან ქანებს.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 28-a-VI კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებებით მიეკუთვნება II კატეგორიას.

სამშენებლო მოედანზე მიწისქვეშა წყალი, გამოკვლეული სიღრმის ფარგლებში არ დასიქსირდა.

5. ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები (გეოდინამიკური შეფასება)

საპროექტო შენობა განთავსებულია მამა-დავითის ქედის ჩრდილოეთ ფერდობის შუა ნაწილში. სამშენებლო მოედანს სამხრეთიდან პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩა ესაზღვრება, ჩრდილოეთიდან საყრდენი კედლებით გამაგრებული საკარმიდამო ნაკვეთის ციცაბო ფერდობი, აღმოსავლეთიდან მშრალი ხევის მარცხენა ფერდი. თვით სამშენებლო მოედანიც ტერასულად არის ჩამოჭრილი სადაც მცირე ზომის საყრდენი კედლებია მოწყობილი. მოედნის ჩამოჭრილ ზედაპირზე, კაკაბაძის ქუჩაზე და ხევის მარცხენა ფერდზე კლდოვანი ქანები შიშვლებიან. შურფებში და არსებულ გაშიშვლებაზე გაზომილია კლდოვანი ქანების დაქანების აზიმუტი და დახრის კუთხე, რომელიც ფერდობის ექსპოზიციას ემთხვევა – Az 5-10°, <25-30°.

შესწავლილია გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები "ქ. თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება", სადაც განხილულია მთაწმინდის ქედის ფერდებზე განვითარებული მეწყერსაშიში და გრავიტაციული ქვათაცვენის უბნები. მითითებულია გრავიტაციული ქვათაცვენების, კლდეზვავების და მეწყერების გამომწვევი ძირითადი მიზეზი – კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანების შრეების დაქანება ემთხვევა ფერდობის ქანობს, რაც მთაწმინდის ქედის ჩრდილო კალთებზე, რელიეფის ზედაპირის 20-45° დახრილობის ფარგლებშია მოსალოდნელი. ქ. თბილისის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების კატეგორიების მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება მაღალი რისკის ზონას, ამიტომ, აუცილებელია ფერდობის მდგრადობის ანგარიში და მოსალოდნელი გეოდინამიკური საფრთხეების შეფასება.

ფერდობის მდგრადობის ანგარიშისთვის აუცილებელია მასივში კლდოვანი ქანების შეჭიდულობის და შინაგანი ხახუნის კუთხის განსაზღვრა, რაც შესაძლებელია არსებულ გაშიშვლებებზე ნაპრალიანობის შესწავლით და ს.ნ. და წ.

2.02.02-85-ის ცხრ. 5-ის გამოყენებით. სამშენებლო მოედნის აღმოსავლეთ საზღვარზე, ხევში არსებულ გაშიშვლებებზე ჩატარდა ნაპრალოვანი აგეგმვა.

არსებული მდგომარეობის მიხედვით ქანები დანაწევრიანებულია სხვადასხვა გენეზისის ნაპრალებით. ფერდობის მდგრადობას განაპირობებს მასივის ამგები კლდოვანი ქანების ნაპრალიანობა და ნაპრალებით დანაწევრების ხარისხი. ნაპრალები ძირითადად ეგზოგენური ხასიათისაა. თავისი დახრილობის და მიმართების მიხედვით, სხვადასხვა სივრცობრივი ორიენტაცია აქვთ. სხვადასხვა სისტემის ურთიერთგადამკვეთი ნაპრალები ბლოკებს ქმნიან. ბლოკების სიდიდე ნაპრალთა შორის მანძილზეა დამოკიდებული, ხოლო, ნაპრალების სიგანე განსაზღვრავს მასივის ღრულობას. ფერდობზე არსებულ გაშიშვლებებში დაფიქსირდა ნაპრალთა სამი სისტემა: I სისტემა — დამრეცი დაშრევების ნაპრალთა სისტემა, დახრის კუთხე <24-32° და აზიმუტი — Az 5-10° ფერდობის ექსპოზიციას ემთხვევა. II სისტემა – ვერტიკალური გამოფიტვის ნაპრალები, Az 130° შეადგენს, დახრის კუთხე 85°. III სისტემის ნაპრალების Az 325°, დახრის კუთხე 70°. ქანების ნაპრალიანობის ხარისხის მიხედვით სნ და წ 2.02.02-85 ცხრ. 5-ის საფუძველზე მიღებულია ძვრის მახასიათებელთა მნიშვნელობები. ცხრ. 5

გაშიშვლების №	ნაპრალთა სისტემა	ნაპრალების დაქანების აზიმუტი	ნაპრალების დახრის კუთხე	მანძილი ნაპრალთა შორის სმ	ნაპრალთა სიგანე სმ	ნაპრალთა დახასიათება	ბლოკურობა სმ	ღრუულობა %	ქანის სიმკვრივის და ძვრის მახასიათებლები სნ და წ 2.02.02-85 ცხრ.			
									ნაპრალიანობის ხარისხი	tgφ	φ°	C მპა
	I	5-16 / 8	22-34 / 28	5-28 / 14	0,3-1.1 / 0.7	გლუვი, შემავსებელი არა, მშრალი,	47	0,63	ძლიერ ნაპრალიანი	0.70	30°	10
	II	122-135 / 130	78-92 / 85	11-32 / 23	0,3-1,2 / 0.6	ხორკლიანი, ნაწილობრივ შევსებულია თიხით, მშრალი,						
	III	317-332 / 325	65-76 / 70	22-52 / 34	0,2-0,8 / 0,5	ხორკლიანი, ნაწილობრივ შევსებულია თიხით, მშრალი,						

სამშენებლო მოედანზე ქვაბულის მოწყობის ან ფერდობის ჩამოჭრის შემდეგ, ატმოსფერული ზემოქმედების გამო გრუნტის თვისებები იცვლება: ხდება გრუნტის

დასველება ატმოსფერული ნალექებით, მზის და ქარის ზემოქმედებით ინტენსიურად მიმდინარეობს კლდოვანი ქანების გამოფიტვის პროცესი, რაც იწვევს ფერდობის ადგილობრივი მდგრადობის დარღვევას და ხდება ფერდოს მთლიანი ან ნაწილობრივი ჩამოშლა. ამ პროცესის თავიდან ასცილებლად აუცილებელია ჩამოჭრილ ფერდობს მიეცეს ქანობი. ქვაბულის ფერდოს მაქსიმალური დასაშვები დახრა უბანზე გავრცელებული გრუნტებისათვის მიღებული უნდა იქნეს ს.ნ. და წ. 3.02.01-87-ის 3.11, 3.12, 3.15 პუნქტების გათვალისწინებით და ს.ნ. და წ. III-4-80 მე-9 თავის მიხედვით. ს.ნ. და წ. III-4-80 §9.11 ცხრ. 4-ის თანახმად 5 მ-მდე ქვაბულის მოწყობის შემთხვევაში ქვაბულის ფერდოს ქანობი ნაყარი გრუნტისთვის მიიღება 1:1 ანუ 45°, ხოლო თიხნარებისთვის – 1:0,75 ანუ 53°.

6. ფერდობის მდგრადობის გაანგარიშება

განვიხილოთ ფერდობის მდგრადობა ვერტიკალურად ჩამოჭრის შემთხვევაში. ანგარიშისთვის გამოყენებულია «методика расчета предельной высоты устойчивых откосов в скальных породах» დანართი 4. რადგან, კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანების შრეების დახრა ფერდობის ექსპოზიციას ემთხვევა, უნდა ჩაითვალოს რომ, ქანების განლაგება ქვაბულის ფერდოს მიმართ არახელსაყრელია და ანგარიშს ვატარებთ შესაბამისი სქემის მიხედვით.

სამშენებლო მოედნის ის ნაწილი, სადაც ფერდობის ჩამოჭრა უნდა განხორციელდეს, 0,5-1,2 მ-ის სიღრმემდე აგებულია ნაყარი გრუნტით, ნაყარის ქვემოთ გავრცელებულია არგილიტების და ქვიშაქვების თხელშრეებრივი მორიგეობა. რომელთა დაქანების აზიმუტი ჩრდილოეთურია, Az 5-10°, შრეების დახრის კუთხე 25-30°. ფერდობის ვერტიკალური ქანობის მდგრადობის ზღვრული სიმაღლე ამ შემთხვევაში გამოითვლება ფორმულით:

$$H_{90} = Ctr/ \gamma * \cos \varphi tr/\cos\beta * \sin(\beta - \varphi tr)$$

სადაც გრუნტის მახასიათებლების ნორმატიული მნიშვნელობებია:

H_{90} – მდგრადი ვერტიკალური ფერდოს სიმაღლეა მოცემულ მასივში მ,

g - გრუნტის მოცულობითი წონა 2,38 ტ/მ^3,

φ – გრუნტის შიგა ხახუნის კუთხე 30°

C – გრუნტის შეჭიდულობა 10 ტ/მ²

φtr – გრუნტის შინაგანი ხახუნის კუთხე ნაპრალთა შესუსტების სიბრტყეებზე მიღებულია ცხრ. 3-ის საფუძველზე φtr = 25°

Ctr –შეჭიდულობა ნაპრალთა შესუსტების სიბრტყეებზე მიღებულია ცხრ. 2-ის საფუძველზე = 10 ტ/მ².

საანგარიშო მნიშვნელობების მიღებისთვის აუცილებელია გამოვიყენოთ საიმედობის კოეფიციენტი k =1,3.

Ctr = 10/1.3 = 7.7 ტ/მ²

φtr = tg25/1.3 = 0.466/1.3 = 0.358

φtr = 19.4

H_{90} =7.7/ 2.38*cos19.4/cos 30*sin(30-19.4) =3.23*0.942/0.866*0.754 =

3,23*0.942/0.655=3.23*1.45 = 4.7 მ

ამრიგად, ფერდობი ვერტიკალური ჩამოჭრის შემთხვევაში მდგრადი იქნება 4,7 მ-ის სიმაღლეზე. ხოლო ნაყარი გრუნტს, რომელიც ძირითადი ქანების თავზეა განლაგებული უნდა მიეცეს ქანობი 1:1 ანუ 45°. ფერდობის 4,7 მ-ზე ღრმად ჩამოჭრის შემთხვევაში აუცილებელია საინჟინრო დაცვის ღონისძიებების გატარება შპუნტების, კონტრფორსების, საყრდენი კედლების ან სხვა საინჟინრო დაცვის ნაგებობების მოწყობით.

სამშენებლო მოედანს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მშრალი ხევის მარცხენა ნაპირის ვერტიკალური ფლატე, რომელიც ქვიშაქვებით არის აგებული. ფლატის სიმაღლე 7-8 მ-ს აღწევს, ხოლო ქვემოთ მისი სიღრმე იზრდება 20,0 მ-მდე, ამიტომ, ხევის ღვარცოფული მოქმედება კატასტროფული ნალექების დროსაც კი გამორიცხულია.

7. დასკვნები და რეკომენდაციები

1. ქ. თბილისში, კაკაბაძის ქ. №33-ში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი №01.15.05.004.119 მდებარეობს ხელოვნურად დატერასებულ, ბეტონის საყრდენი კედლებით გამაგრებულ

ჰორიზონტალ რელიეფზე, ნიშნულებით 493,0–498,0 მ. ამჟამად, ნაკვეთი მდგრადია, მასზე საშიში გეოლოგიური მოვლენები განვითარებული არ არის.

2. საველე და ლაბორატორიული კვლევების ანალიზის საფუძველზე, სამშენებლო მოედანზე გამოიყო სამი ს.გ. ელემენტი: ამ სგე-ების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ცხრ. 6-ში. ცხრ. 6

სგე	ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები	სიმკვრივე ρ , გ/სმ³	ხვედრითი .შეჭიდულობა X ,კგ/სმ²	შიგა ხახუნის კუთხე φ გრად	დეფორმაციის მოდული E მპა	პირობითი საანგარიშო წინაღობა P 0, კგ/სმ²	დენადობის მაჩვენებელი I	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე R_c მპა	პუასონის კოეფიციენტი μ	გრუნტის დასახელება
I	A_n	1.77	0.16	33°	10	1.5			0.35	ნაყარი
	α =0,85	1.76	0.16	33°						
	α =0,95	1.75	0.14	22°						
II	A_n	1.95	0.31	24°	22	2.5	0.00		0.35	თიხნარი
III	A_n	2.38	10	30°	2000			16.0	0.20	ქვიშაქვა
	α =0,85	2.34						12.3		
	α =0,95	2.31						9.6		

3. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი I სგე წარმოადგენს ნაყარ გრუნტს, რომლის სიმძლავრე მოედნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 7,3 მ-ს აღწევს, სხვაგან მცირე სიმძლავრისაა – 0,5-ა,2 მ. გრუნტს დაბალი მახასიათებლები აქვს და მისი გამოყენება ფუძის გრუნტებად არ არის რეკომენდებული.
4. II სგე მოედანზე ლოკალურად არის გავრცელებული და მისი გამოყენება ფუძის გრუნტებად რეკომენდებული არ არის.
5. III სგე წარმოადგენს კლდოვან ქანს, მოედნის ჩრდილოეთ ნაწილში იგი ზედაპირიდან ახლოს, ხოლო სამხრეთ ნაწილში ზედაპირიდან ღრმად არის გავრცელებული. შრეების დახრა ფერდობის ქანობს ემთხვევა. აქვს სიმტკიცის და დეფორმაციის მაღალი მახასიათებლები, ამიტომ, იგი რეკომენდებულია

ფუძის გრუნტებად. საძირკვლის ტიპი – რკინა-ბეტონის წერტილოვან-ხიმინჯოვანი საძირკვლები, კლდოვან ქანებში ჩაანკერებით, რადგან მან უნდა შეასრულობს შრეების ჩამოცურების საწინააღმდეგო ფუნქციაც.

6. ფერდობის მდგრადობის გაანგარიშების მიხედვით, ფერდობი ვერტიკალურად ჩამოჭრის შემთხვევაში მდგრადი იქნება 4,7 მ-ის სიმაღლეზე. უფრო დიდ სიმაღლეზე ჩამოჭრის შემთხვევაში, უნდა მოხდეს ფერდობის გამაგრება შპუნტების, საყრდენი კედლების ან სხვა მეთოდების გამოყენებით.
7. სამშენებლო მოედნის აღმოსავლეთით მდებარე მშრალი ხევის დიდი სიღრმის და კლდოვანი ქანების ფლატის არსებობის გამო, ხევის გავლენა სამშენებლო მოედანზე გამორიცხულია.
8. გრუნტის წყალი აღნიშნულ მოედანზე, გამოკვლეული სიღრმის ფარგლებში გავრცელებული არ არის. თუმცა, ხიმინჯების მოწყობისას ზოგიერთ ხიმინჯში არ არის გამორიცხული ნაპრალებიდან მცირე რაოდენობით წყლის გამოჟონვა.
9. ქვაბულის ფერდოს ქანობის დახრა უნდა განისაზღვროს სნ და წ III-4-80-ის თავი 9-ის მოთხოვნების საფუძველზე,
10. ქ. თბილისი - პნ 01.01.-09 “სეისმომედეგი მშენებლობა” სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას. ხოლო უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებით, იმავე კრებულის ცხრ. №1-ის, მიხედვით მიეკუთვნებიან II კატეგორიას.

სამთო და გეოინჟინერიის მაგისტრი,
ინჟინერ-გეოლოგი: გ. სიყმაშვილი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თბილისი, კაკაბაძის ქ. №33, ნაკვ. №01.15.05.004.119-ში საცხოვრებელი სახლის პროექტი				
დირექტორი	ა. გრიგორიანი		ჭაბურღილების განლაგების სქემა				
ინჟ.გეოლოგი	გ. სიყმაშვილი						
შეასრულა	გ. სიყმაშვილი						
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურც-ბი	მასშტაბი	შ.პ.ს
			მუშა/პროექტი	1	3	უმასშტაბო	[illegible]



პირობითი ნიშნები

1 — ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით, შემკვრივებული.

3 — ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, გამოფიტული, ნაპრალიანი, საშუალო სიმტკიცის.

2 — თიხნარი მოყვითალო ფერის, ღორღის ჩანართებით, მყარი.

ლითოლოგიური საზღვარი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თბილისი, კაკაბაძის ქ. №33, ნაკვ. №01.15.05.004.119-ში საცხოვრებელი სახლის პროექტი			
დირექტორი	ა. გრიგორიანი					
ინჟ.გეოლოგი	გ. სიყმაშვილი		საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი I-I			
შეასრულა						
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურც-ბი	მასშტაბი	შ.პ.ს
			პროექტი	5	7	1:100	"აიდეა რესარჩ სქუად"



ნიშნული		496,4		493,2	493,0	
მანძილი		6,0	4,0	5,0	15,0	5,0

პირობითი ნიშნები

1 — ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით, შემკვრივებული.

2 — თიხნარი მოყვითალო ფერის, ღორღის ჩანართებით, მყარი.

3 — ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, გამოფიტული, ნაპრალიანი, საშუალო სიმტკიცის.

ლითოლოგიური საზღვარი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თბილისი, კაკაბაძის ქ. №33, ნაკვ. №01.15.05.004.119-ში საცხოვრებელი სახლის პროექტი			
დირექტორი	ა. გრიგორიანი					
ინჟ.გეოლოგი	ბ. სიყმაშვილი		საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი II-II			
შეასრულა						
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურცლები	მასშტაბი	შ.პ.ს
			პროექტი	5	7	1:100	



ნიშნული						492,8		
მანძილი		2,0	3,0	8,0	3,0	15,0		

პირობითი ნიშნები

1 — ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით, შემკვრივებული.

3 — ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, გამოფიტული, ნაპრალიანი, საშუალო სიმტკიცის.

2 — თიხნარი მოყვითალო ფერის, ღორღის ჩანართებით, მყარი.

ლითოლოგიური საზღვარი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თბილისი, კაკაბაძის ქ. №33, ნაკვ. №01.15.05.004.119-ში საცხოვრებელი სახლის პროექტი			
დირექტორი	ა. გრიგორიანი					
ინჟ.გეოლოგი	ბ. სიყმაშვილი		საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი III-III			
შეასრულა						
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურც-ბი	მასშტაბი	შ.პ.ს
			პროექტი	5	7	1:100	



პირობითი ნიშნები

1 — ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით, შემკვრივებული.

2 — თიხნარი მოყვითალო ფერის, ღორღის ჩანართებით, მყარი.

3 — ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, გამოფიტული, ნაპრალიანი, საშუალო სიმტკიცის.

ლითოლოგიური საზღვარი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თბილისი, კაკაბაძის ქ. №33, ნაკვ №01.15.05.004.119-ში საცხოვრებელ სახლის პროექტი				
დირექტორი	ა. გრიგორიანი						
ინჟ.გეოლოგი	ბ. სიყმაშვილი		საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი IV-IV				
შეასრულა							
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურც-ბი	მასშტაბი	შ.პ.ს
			პროექტი	5	7	1:100	"აიდია რესარჩ სქუად"

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №1 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 493.5

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	ფენის სიღრმე მ	ფენის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ქანების აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQIV					ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით შემკვრივებული.			
2									1.8
3									3.2
4									4.0
5									5.5
6									
7			7.5	7.5	486.0				
8	P²3					ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, ნაპრალიანი, გამოფიტული, საშუალო სიმტკიცის.			8.5
9			9.0	1.5	484.5				

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №2 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 493.2

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	ფენის სიგანე მ	ფენის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ქანების აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	tQIV		0.6	0.6	492.6	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით შემკვრივებული.			
1 2	pdQIV		2.0	1.4	491.2	თიხნარი მოყვითალო ფერის, ღორღის ჩანართებით, მყარი.			1.5
3 4	P²3		4.0	2.0	489.2	ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, ნაპრალიანი, გამოფიტული, საშუალო სიმტკიცის.			3.5

შურფის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

შ-ფ. №4 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 495.4

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის სავების სიღრმე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	გრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQIV		1.2	1.2	494.2	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით შემკვრივებული.			1.0
2 3 4	P²3		4.0	2.8	491.4	ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, ნაპრალიანი, გამოფიტული, საშუალო სიმტკიცის.			

შურფის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

შ-ფ. №5 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 496.4

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	ფენის სიღრმე მ	ფენის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ქანის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დინის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	tQIV		0.6	0.6	495.8	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით			
1 2 3	P²3		4.0	3.4	492.4	ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, ნაპრალიანი, გამოფიტული, საშუალო სიმტკიცის.			2.2
4									

შურფის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

შ-ფ. №6 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 498.8

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	ფენის სავების სიღრმე მ	ფენის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	გრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დღის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	tQIV		0.6	0.6	498.2	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით			
1 2 3 4	P²3		4.0	3.4	494.8	ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, ნაპრალიანი, გამოფიტული, საშუალო სიმტკიცის.			3.0

შურფის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

შ-ფ. №7 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 496.8

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის სიგების სიღრმე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	tQIV		0.5	0.5	496.3	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით			
1 2 3	P²3					ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, ნაპრალიანი, გამოფიტული, საშუალო სიმტკიცის.			
4			4.0	3.5	492.8				

შურფის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

შ-ფ. №8 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 492.8

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	ფენის სიღრმე მ	ფენის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დინის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQIV		1.2	1.2	491.6	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით			1.0
2 3 4	P²3		4.0	2.8	488.8	ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, ნაპრალიანი, გამოფიტული, საშუალო სიმტკიცის.			2.7

პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, კაკაბაძის ქ. №33, ნაკვ. №01.15.05.005.119

გრუნტების შედგენილობის და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევის ჯამური უწყისი

რიგითი №	ჭაბურღილის/შურფის №	ნიმუშის ალების ინტერვალი, მ	ფრაქციის ზომა, მმ												ტენიანობა W%		პლასტიკურობა			კონსისტენციის მაჩვენებელი, I_L	სიმკვრივე, გრ/სმ³			ფორიანობა, n%	ფორიანობის კოეფიციენტი, e	ტენიანობის ხარისხი, S_z	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვა წყ. Rc მპა	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვა მშრ. Rc მპა	დარბილების კოეფიციენტი k	გრუნტის დასახელება
			60-40	40-20	20-10	10-5	5-2	2-1	1-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-0.05	0.05-0.01	0.01-0.005	< 0.005	ბუნებრივი	შემავსებელი	ზედა ზღვარი, W_L%	ქვედა ზღვარი, W_p%	პლასტიურობის რიცხვი, I_p		მინერალური ნაწილაკების ρs	ბუნებრივი, ρ	ჩონჩხის, ρ_d						
1	1	1.8	0.0	0.0	0.0	5.7	10.1	3.9	3.4	4.1	6.2	8.1	8.3	18.9	31.3		22.7	32.9	22.6	10.3	0.01	2.70	1.78	1.45	46	0.861	0.71				თიხნარი ხვინჭით
2	1	3.2	0.0	0.0	0.0	11.4	4.6	6.7	2.2	4.8	10.1	6.8	14.1	12.1	27.2		21.8	25.6	21.4	4.2	0.10	2.68	1.69	1.39	48	0.932	0.63				ქვიშნარი
3	1	4.0	0.0	0.0	3.9	6.7	8.6	4.3	3.7	6.6	3.7	4.9	13.6	19.1	24.9		22.9	34.7	18.8	15.9	0.26	2.71	1.75	1.42	47	0.903	0.69				თიხნარი ხვინჭით
4	1	5.5	0.0	0.0	0.0	3.9	7.7	3.2	4.3	1.3	3.4	8.9	16.4	16.3	34.6		25.5	44.8	20.9	23.9	0.19	2.74	1.81	1.44	47	0.900	0.78				თიხა ღორღით
5	4	1.0	0.0	0.0	0.0	8.7	11.1	1.6	2.1	1.9	12.2	8.2	8.9	12.4	32.9		23.4	30.4	21.8	8.6	0.19	2.70	1.83	1.48	45	0.821	0.77				თიხნარი ხვინჭით
6	8	1.0	0.0	0.0	1.2	6.4	7.2	4.7	1.8	6.3	5.7	9.9	6.4	21.3	29.1		24.8	37.3	19.9	17.4	0.28	2.74	1.75	1.40	49	0.954	0.71				თიხა ღორღით
7	1															18.3		31.2	19.10	12.1	-0.07	2.72	1.94	1.64	40	0.659	0.76				თიხნარი
8	1															17.7		30.4	18.70	11.7	-0.09	2.72	1.99	1.69	38	0.609	0.79				თიხნარი
9	2															18.1		30.3	18.30	12.0	-0.02	2.71	1.90	1.61	41	0.684	0.72				თიხნარი
10	2															19.0		31.4	20.50	10.9	-0.14	2.72	1.96	1.65	39	0.651	0.79				თიხნარი
11	1	8.5														7.2							2.44					20.7	26.7	0.78	ქვიშაქვა
12	2	3.5														6.4							2.37					23.2	31.5	0.74	ქვიშაქვა
13	3	7.5														9.1							2.46					17.5	21.5	0.81	ქვიშაქვა
14	5	2.2														12.1							2.28					6.4	10.8	0.59	არგილიტი
15	6	3.0														11.1							2.26					5.5	9.9	0.56	არგილიტი
16	8	2.7														11.5							2.46					22.9	31.6	0.73	ქვიშაქვა

შ.პ.ს. "აიდეა რესარჩ სქუად"-ის გეოტექნიკური
ლაბორატორიის ხელმძღვანელი : თ. ხევცურიანი

თარიღი: 5.11.2020

გრანულომეტრიული შედგენილობის ფაქტიური მასალები

ობიექტი: ქ. თბილისი, კაკაბაძის ქ. №33, ნაკვ. №01.15.05.004.119

№	ნიმუშის აღების ადგილი და სიღრმე.	განზომილების ერთეული	ფრაქციის ზომა მმ												
			80.0-40.0	40.0–20.0	20.0–10.0	10.0–5.0	5.0–2.0	2.0–1.0	1.0–0.5	0.5–0.25	0,25–0,1	0,1–0,05	0,05–0,01	0,01–0,005	<0,005
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
1	1	გრამი	0	0	0	114	202	78	68	82	124	162	166	378	626
	1.8	%	0.0	0.0	0.0	5.7	10.1	3.9	3.4	4.1	6.2	8.1	8.3	18.9	31.3
2	1	გრამი	0	0	0	228	92	134	44	96	202	136	282	242	544
	3.2	%	0.0	0.0	0.0	11.4	4.6	6.7	2.2	4.8	10.1	6.8	14.1	12.1	27.2
3	1	გრამი	0	0	78	134	172	86	74	132	74	98	272	382	498
	4.0	%	0.0	0.0	3.9	6.7	8.6	4.3	3.7	6.6	3.7	4.9	13.6	19.1	24.9
4	1	გრამი	0	0	0	78	154	64	86	26	68	178	328	326	692
	5.5	%	0.0	0.0	0.0	3.9	7.7	3.2	4.3	1.3	3.4	8.9	16.4	16.3	34.6
5	4	გრამი	0	0	0	174	222	32	42	38	244	164	178	248	658
	1.0	%	0.0	0.0	0.0	8.7	11.1	1.6	2.1	1.9	12.2	8.2	8.9	12.4	32.9
6	8	გრამი	0	0	24	128	144	94	36	126	114	198	128	426	582
	1.0	%	0.0	0.0	1.2	6.4	7.2	4.7	1.8	6.3	5.7	9.9	6.4	21.3	29.1
საშუალო		%	0.0	0.0	0.9	7.1	8.2	4.1	2.9	4.2	6.9	7.8	11.3	16.7	30.0
ჯამური		%	0.0	0.0	0.9	8.0	16.2	20.3	23.2	27.4	34.2	42.0	53.3	70.0	100.0

ობიექტის დასახელება: ქ. თბილისი, კაკაბაძის ქ. №33, ნაკვ. №01.15.05.004.119

ქანის ერთღერძა კუმშვაზე გამოცდის შედეგები ხელსაწყო ПСН-0.12.10

გამოყენებული სტანდარტები:

гост 5180-84 გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები

гост 21153.2-84 ქანების ერთღერძა კუმშვაზე სიმტკიცის ზღვარის განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები

гост 25100-82 გრუნტების კლასიფიკაცია

სინჯის №	ჭაბ №	სიღრმე მ	ქანის დასახელება	სიმტკიცე ჰაერმშრალ მდგომარეობაში Rc მპა	სიმტკიცე წყალნაჯერ მდგომარეობაში Rc^{w} მპა	დარბილების კოეფიციენტი k	ტენიანობა W %	სიმკვრივე ρ გ/სმ^3
1	1	8.5	ქვიშაქვა მონაცრისფრო-ყავისფერი	26.7	20.7	0.78	7.19	2.44
2	2	3.5	ქვიშაქვა მონაცრისფრო-ყავისფერი	31.5	23.2	0.74	6.37	2.37
3	3	7.5	ქვიშაქვა მონაცრისფრო-ყავისფერი	21.5	17.5	0.81	9.08	2.46
4	5	2.2	არგილიტი მუქი-ყავისფერი	10.8	6.4	0.59	12.13	2.28
5	6	3.0	არგილიტი მუქი-ყავისფერი	9.9	5.5	0.56	11.14	2.26
6	8	2.7	ქვიშაქვა მონაცრისფრო-ყავისფერი	31.6	22.9	0.73	11.50	2.46
საშუალო				22.0	16.0	0.70	9.6	2.38

შ.პ.ს. "აიდეა რესარჩ სქუად"-ის გეოტექნიკური
ლაბორატორიის ხელმძღვანელი: თ. ხევცურიანი
თარიღი: 5.11.2020

ცხრილი 2. სიმკვრივე

სინჯის №	ნიმუშის №	ნიმუშის მასა გრ.	ჰარაფინიანი ნიმუშის მასა ჰაერში გრ	ჰარაფინიანი ნიმუშის მასა წყალში გრ	ჰარაფინის მოცულ. სმ³	ნიმუშის მოცულობა სმ³	სიმკვრივე ρ გ/სმ³
1	4	5	6	7	8	9	10
1	1.1	45.35	49.05	26.23	3.70	4.11	2.42
	1.2	46.15	49.33	26.9	3.18	3.53	2.45
							2.44
2	2.1	41.22	45.02	23.35	3.8	4.22	2.36
	2.2	40.25	44.04	22.91	3.79	4.21	2.38
							2.37
3	3.1	39.25	42.23	22.95	2.98	3.31	2.46
	3.2	38.98	42.08	22.85	3.1	3.44	2.47
							2.46
4	4.1	40.41	43.44	22.28	3.03	3.37	2.27
	4.2	39.97	42.66	22.2	2.69	2.99	2.29
							2.28
5	5.1	41.35	44.46	22.61	3.11	3.46	2.25
	5.2	41.39	44.49	22.76	3.10	3.44	2.26
							2.26
6	6.1	42.95	49.96	24.74	7.01	7.79	2.46
	6.2	46.15	52.96	26.57	6.81	7.57	2.45
							2.46

ცხრილი 3. ტენიანობა

სინჯის №	ნიმუშის №	ბიუქსის №	ბიუქსის მასა გრ	ნიმუშის მასა ტენიანი ბიუქს. გრ.	ნიმუშის მასა გამომშრ. ბიუქს. გრ.		ტენიანობა W %
1	4	5	6	7	8		9
1	1.1	117	21.22	36.25	35.31	0	6.67
	1.2	14	24.47	42.51	41.22	0	7.70
							7.19
2	2.1	203	25.58	40.65	39.85	0	5.61
	2.2	152	22.80	39.34	38.24	0	7.12
							6.37
3	3.1	110	25.43	64.24	60.9	0	9.42
	3.2	57	25.22	63.91	60.8	0	8.74
							9.08
4	4.1	205	22.35	55.15	51.51	0	12.48
	4.2	136	22.72	56.49	52.93	0	11.78
							12.13
5	5.1	95	24.42	48.37	46.23	0	9.81
	5.2	107	25.34	49.58	47.15	0	11.14
							10.48
6	6.1	82	34.52	55.84	53.6	0	11.74
	6.2	137	45.23	61.42	59.75	0	11.50
							11.62

ცხრ. 4 გამოცდა ერთღერძა კუმშვაზე

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის								
	№	სიგრძე სმ.	სიგანე სმ.	სიმაღლე სმ.	ფართობი სმ^2	მასშტაბური კოეფიციენტი	მრღვევი ძალა კნ/ძ	სიმტკიცე მპა	მდგომარეობა გამოცდისას
1	1	4.54	4.55	4.58	20.66	0.90	6725	29.3	მშრალი
	2	4.52	4.51	4.54	20.39	0.90	6575	29.0	
	3	4.48	4.48	4.49	20.07	0.90	6430	28.8	
	4	4.75	4.75	4.75	22.56	0.90	6100	24.3	
	5	4.81	4.83	4.83	23.23	0.90	5730	22.2	
	6	4.32	4.32	4.32	18.66	0.90	5450	26.3	
								26.7	
	7	4.38	4.38	4.38	19.18	0.90	5300	24.9	წყალნაჯერი
	8	4.43	4.45	4.47	19.71	0.90	5150	23.5	
	9	4.52	4.52	4.52	20.43	0.90	4850	21.4	
	10	4.50	4.51	4.52	20.30	0.90	4500	20.0	
	11	4.61	4.69	4.70	21.62	0.90	4350	18.1	
	12	4.56	4.57	4.58	20.84	0.90	3800	16.4	
					0.78			20.7	
2	1	4.37	4.38	4.39	19.14	0.90	7350	34.6	მშრალი
	2	4.35	4.35	4.38	18.92	0.90	7120	33.9	
	3	4.34	4.34	4.24	18.84	0.90	6850	32.7	
	4	4.45	4.42	4.45	19.67	0.90	6600	30.2	
	5	4.37	4.37	4.38	19.10	0.90	6350	29.9	
	6	4.51	4.52	4.53	20.39	0.90	6275	27.7	
								31.5	
	7	4.38	4.39	4.38	19.23	0.90	5375	25.2	წყალნაჯერი
	8	4.45	4.45	4.50	19.80	0.90	5270	24.0	
	9	4.40	4.40	4.50	19.36	0.90	5100	23.7	
	10	4.28	4.37	4.69	18.70	0.90	4950	23.8	
	11	4.42	4.42	4.47	19.54	0.90	4750	21.9	
	12	4.50	4.5	4.50	20.25	0.90	4600	20.4	
					0.74			23.2	

ცხრ. 4-ის გაგრძელება

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის								
	№	სიგრძე სმ.	სიგანე სმ.	სიმაღლე სმ.	ფართობი სმ²	მასშტაბური კოეფიციენტი	მრღვევი ძალა კნ/ძ	სიმტკიცე მგპა	მდგომარეობა გამოცდისას
3	1	4.55	4.55	4.55	20.70	0.90	4600	20.0	მშრალი
	2	4.52	4.53	4.55	20.48	0.90	4100	18.0	
	3	4.40	4.40	4.45	19.36	0.90	3900	18.1	
	4	4.50	4.51	4.52	20.30	0.90	5600	24.8	
	5	4.27	4.27	4.32	18.23	0.90	5300	26.2	
	6	4.58	4.58	4.58	20.98	0.90	5150	22.1	
								21.5	
	7	4.30	4.35	4.42	18.71	0.90	4850	23.3	წყალნაჯერი
	8	4.22	4.22	4.20	17.81	0.90	4225	21.4	
	9	4.25	4.25	4.28	18.06	0.90	3800	18.9	
	10	4.29	4.29	4.30	18.40	0.90	3250	15.9	
	11	4.50	4.51	4.50	20.30	0.90	3000	13.3	
	12	4.48	4.48	4.50	20.07	0.90	2750	12.3	
					0.81			17.5	
4	1	4.56	4.56	4.60	20.79	0.90	3275	14.2	მშრალი
	2	4.75	4.76	4.70	22.61	0.90	3200	12.7	
	3	4.56	4.55	4.56	20.75	0.90	2655	11.5	
	4	4.78	4.78	4.80	22.85	0.90	2500	9.8	
	5	4.85	4.85	4.86	23.52	0.90	2200	8.4	
	6	4.92	4.92	4.95	24.21	0.90	2100	7.8	
								10.8	
	7	4.85	4.86	4.87	23.57	0.90	2450	9.4	წყალნაჯერი
	8	4.75	4.75	4.75	22.56	0.90	2050	8.2	
	9	4.85	4.85	4.88	23.52	0.90	1650	6.3	
	10	4.70	4.72	4.75	22.18	0.90	1400	5.7	
	11	4.85	4.85	4.90	23.52	0.90	1150	4.4	
	12	4.65	4.65	4.66	21.62	0.90	1050	4.4	
					0.59			6.4	

ცხრ. 4-ის გაგრძელება

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის								
	№	სიგრძე სმ.	სიგანე სმ.	სიმაღლე სმ.	ფართობი სმ²	მასშტაბური კოეფიციენტი	მრღვევი ძალა კგ/ძ	სიმტკიცე მპა	მდგომარეობა გამოცდისას
5	1	4.78	4.78	4.80	22.85	0.90	3530	13.9	მშრალი
	2	4.77	4.77	4.78	22.75	0.90	3175	12.6	
	3	4.86	4.86	4.87	23.62	0.90	2800	10.7	
	4	4.97	4.97	4.98	24.70	0.90	2235	8.1	
	5	4.75	4.74	4.75	22.52	0.90	1825	7.3	
	6	4.76	4.46	4.77	21.23	0.90	1550	6.6	
								9.9	
	7	4.87	4.87	4.88	23.72	0.90	2500	9.5	წყალნაჯერი
	8	4.56	4.57	4.60	20.84	0.90	1750	7.6	
	9	4.95	4.98	4.65	24.65	0.90	1530	5.6	
	10	4.76	4.76	4.80	22.66	0.90	1050	4.2	
	11	4.82	4.83	4.90	23.28	0.90	850	3.3	
	12	4.77	4.77	4.80	22.75	0.90	750	3.0	
					0.56			5.5	
6	1	4.30	4.31	4.33	18.53	0.90	7270	35.3	მშრალი
	2	4.35	4.35	4.35	18.92	0.90	7100	33.8	
	3	4.26	4.34	4.66	18.49	0.90	6725	32.7	
	4	4.45	4.42	4.45	19.67	0.90	6560	30.0	
	5	4.35	4.3	4.22	18.71	0.90	6350	30.6	
	6	4.51	4.52	4.53	20.39	0.90	6100	26.9	
								31.6	
	7	4.82	4.88	4.88	23.52	0.90	6810	26.1	წყალნაჯერი
	8	4.85	4.85	4.90	23.52	0.90	6550	25.1	
	9	4.71	4.72	4.72	22.23	0.90	6025	24.4	
	10	4.96	4.98	4.99	24.70	0.90	5750	21.0	
	11	4.93	4.91	4.92	24.21	0.90	5550	20.6	
	12	4.80	4.85	4.50	23.28	0.90	5300	20.5	
					0.73			22.9	

ქ. თბილისი, კაკაბაძის ქ. №33, ნაკვ. №01.15.05.004.119

I სბე-ს მექანიკური თვისებების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები c,φ, E

"Методика оценки прочности и сжимаемости крупнообломочных грунтов..." ДальНИИС, 1989г

$\varphi_n = K_1 K\varphi * 46 (0,3)^{\mu т}$ (5)

$c_n = K_2 K\rho * 79 * \mu т^{0,32} / (1+I_L)^{3,62}$ (8)

Ф-лы (5), (8) - კონსოლიდირებული ძვრის სქემა

$\varphi_n = K_1 K\varphi * 37 (0,234)^{\mu т}$ (10)

$c_n = K_2 * K\rho * 87 * \mu т^{0,51} / (1+I_L)^{3,85}$ (12)

Ф-лы (10), (12) - არაკონსოლიდირებული ძვრის სქემა

$E_n = K_E * K\rho * K_L * 1,0 / (0,088 * \mu т - 0,15 \mu т * I\rho + 0,017)$ (14)

$\mu т = \rho_1 / \rho_2 * I_\rho (1+I_L)$ - გრუნტის ფიზიკური ეკვივალენტი

ρ_1 - %ნაწილაკები<2 მმ ρ_2 - % ნაწილაკები >2 მმ

კოეფიციენტები:

K_1, K_2 - დაკუთხული =1,0; დამრგვალებული =0,9.

K_E -სიმტკიცეზე ცხრ.8

$K\varphi$ -სიმტკიცეზე ცხრ. 5

$K\rho$ -სიმკვრივეზე.6

K_L - დენადობის მაჩვენებელზე ცხრ. 9

კონსოლიდირებული ძვრის სქემა

K_1	K_2	$K\varphi$	$K\rho$	K_E	K_L	ρ_1	$\rho 2$	$I\rho$	I_L	$\mu т$	φ_n,гр	φ_{II},гр	φ_I,гр
1.00		0.94				85.2	16.2	0.134	0.17	0.824	**16.0**	**16.0**	**13.9**
											c_n, кПа	c_{II}, кПа	c_I, кПа
	1.00		0.80			85.2	16.2	0.134	0.17	0.824	**33.6**	**33.6**	**22.4**

არაკონსოლიდირებული ძვრის სქემა

K_1	K_2	$K\varphi$	$K\rho$	K_E	K_L	ρ_1	$\rho 2$	$I\rho$	I_L	$\mu т$	φ_n,гр	φ_{II},гр	φ_I,гр
1.00		0.94				85.2	16.2	0.134	0.17	0.824	**10.5**	**10.5**	**9.1**
											c_n, кПа	c_{II}, кПа	c_I, кПа
	1.00		0.80			85.2	16.2	0.134	0.17	0.824	**34.4**	**34.4**	**22.9**

დეფორმაციის მოდული

K_1	K_2	$K\varphi$	$K\rho$	K_E	K_L	ρ_1	$\rho 2$	$I\rho$	I_L		E_n, МПа	E_{II}, МПа	
			0.80	1.00	0.86	85.2	16.2	0.134	0.17	0.824	**9.4**	**9.4**	

III ს.ბ.ე. ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობები

№N	ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები	განზომილება	რაოდენობა		საშუალო კვადრატული გადახრა σ	საშუალო კვადრატული გადახრის შეფასება σ cm	ვარიაციის კოეფიციენტი ν	ნორმატიული მნიშვნ. An	საანგარიშო მნიშვნელობა	
			საწყისი	საბოლოო					α=0,85	α=0,95
1	სიმტკიცე წყალნაჯერი Rc.	მპა	6	6	8.078	7.375	0.504	16.0	12.3	9.6
2	სიმკვრივე ρ	გ/სმ³	6	6	0.091	0.083	0.038	2.38	2.34	2.31

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე ქ.თბილისი, კაკაბაძის ქუჩაძე ნაკვ. #01.1 . .0 . -ში ინდივიდუალური სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესახებ~.

შ.პ.ს. "კატევე დეველოპმენტის"-ის დაკვეთის საფუძველზე, შეკვეთის და ტექნიკური დავალების საფუძველზე 2020 წლის მარტის შ.პ.ს. “აიდეა რესარჩი სქუად -ს გეოლოგთა ჯგუფმა ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიურიკვლევითი სამუშაოები ქ.თბილისი, კაკაბაძის ქუჩაძე ნაკვ. #01.1 . .0 . -ში ინდივიდუალური სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით.

შ.პ.ს. "კატევე დეველოპმენტის"-ის თხოვნით ჩვენს მიერ 202 წლის აგვისტოს შემოწმებული იქნა ქ.თბილისი, კაკაბაძის ქუჩაძე ნაკვ. #01.1 . .0 . -ში ინდივიდუალური სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ.თბილისი, კაკაბაძის ქუჩაძე ნაკვ. #01.1 . .0 . -ში ინდივიდუალური სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. “აიდეა რესარჩი სქუად -ს გეოლოგთა ჯგუფმა ადგილმდებარეობის ვიზუალური დათვალიერების, ბურღვის მონაცემების, გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების და საფონდო მასალების კამერალური დამუშავების შედეგად შედგენილია:

ტექნიკური დავალება,შესავალი გეოლოგიურ-ლითოლოგიური ბარათები გეომორფოლოგია,კლიმატი,საინჟინრო-გეოლოგია, ტექტონიკა, ჰიდროგეოლოგია, უბნის გეგმა საძიებო ჭაბურღილებით, საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი შურფების ლითოლოგიური სვეტებ საინჟინრო-გეოლოგიური ტოპოგეგმა სულ ფურცელი

პროექტით საკვლევ მოედანზე სამშენებლო ნაკვეთის სეისმიურობა შეადგენს ბალს საპროექტო შენობა ორ სართულიანია შენობის ძირითადი ნაწილი გეგმაში მართკუთხა ფორმისა აგაბარიტული ზომებით ღერძებში მ ნიშნულად მიღებულია აბსოლუტური ნიშნული მ ზღვის

დონიდან პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საფუძვლად მიღებულ იქნა არქიტექტურულ გეგმარებითი გადაწყვეტები და ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიურიპირობები შენობის დაფუძნება ხდება მერგელოვან გრუნტზე სგე წერტილოვანისაძირკვლებით საპროექთო შენობის კონსტრუქციულ სქემას წარმოადგენს მზიდი რკ ბეტონისმონოლითური კარკასი პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში მიღებულია შემდეგი გადაწყვეტები საძირკველი მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვანი ტიპის სვეტები მონოლითური რკ ბეტონის კვეთით სმ რიგელები მონოლითური რკ ბეტონის კვეთით სმ გადახურვები მონოლითური რკ ბეტონის სისქით სმ კედლები ბეტონის ბლოკის სისქით სმ მარკით არანაკლებ მ

პროექტში მზიდ კონსტრუქციებში ძირითადად გამოყენებულია მძიმე ბეტონი ბ კლასის არმატურის ანკერების გამოყენებით პნ სესმომედეგი მშენებლობა მუხლი პ ის

საინჟინრო – გეოლოგიური პირობების შეფასებისათვის ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად და ნიმუშების ასაღებად გაყვანილია ჭაბურღილი საერთო სიღრმით ,0 გრ/მ. ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მო-ნა¬ცე¬მე¬ბის საფუძველზე გამოყოფილია სამიფენა

ფენა #1 ნაყარი გრუნტი: __ თიხნარის მასა ბეტონის ნამტვრევების და ღორღის ჩანართებით, შემკვრივებული. ფენა გავრცელებულია მთელს ტერიტორიაზე, სიმძლავრე 1,5 -1,6

#2 თიხნარი - ღორღის, კენჭების ჩანართებით, მოყვითალო ფერის მყარი კონსტიტენციის ფენა ქვიშაქვებისა და არგილიტების თხელშრეებით

უბანზე გეოლოგიურ-ლითოლოგიურ ჭრილში გამოიყოფა ორი სგე (ნაყარი გრუნტი მხედველობაში არ მიიღება): სგე __ თიხნარი მოყვითალო-ყავისფერი, კენჭების ჩანართებით. II ს.გ.ე __ ფენა ქვიშაქვებისა და არგილიტების თხელშრეებით გაშიშვლებულ ფერდობში დაფიქსირდა ნაპრალთა სამი სისტემა I სისტემა დამრეცი დაშრევების ნაპრალების სისტემა დახრის კუთხე გრადუსი აზიმუტი რაც ემთხვევა ფერდის ექსპოზიციას II სისტემა ვერტიკალური გამოფიტვის ნაპრალები აზიმუტი დახრის კუთხ გრადუსი სისტემა ნაპრალების აზიმუტი დახრის კუთხე გრადუსი

ამ ს გ ე ის საფუძვლად გამოყენება მიზანშეწონილია ნებისმიერი ტიპის ფუნდამენტებისთვის. გრუნტის წყალი არცერთ ჭაბურღილში არ გამოვლენილა.

საკვლევი უბნის სეისმურობა, ნორმატიული დოკუმენტის `სეისმომედეგი მშენებლობა~ პნ 01.01-09~ მიხედვით არის ბალი. აქ გავრცელებული გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მეორე კატეგორიისა. შესაბამისად უბნის სეისმურობა უნდა დარჩეს ბალი.

საშიში საინჟინრო-გეოლოგიური პროცესები და მოვლენები არ ფიქსირდება.

“სეისმომედეგი მშენებლობა” პნ 01.01.-09-ის სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას. ხოლო უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებიდან გამომდინარე იმავე კრებულის ცხრ. #1-ის, მიხედვით განეკუთვნებიან II კატეგორიას, ამიტომ, უბნის სეისმურობად მიღებული იქნეს 8 ბალი. გამონამუშევრების გეგმიურ-სიმაღლითი მიბმა განხორციელდა “დამკვეთი”-ს მიერ გადმოცემული 1:1000 მასშტაბის ტოპოგეგმის მიხედვით.

ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პროცესების შესახებ ავღნიშნავთ, რომ იგი მდგრადია და არაა მოსალოდნელი უარყოფითი საინჟინრო გეოლოგიური პროცესების განვითარება (მეწყერი, ზვავი, კარსტი და სხვა). კვლევაში მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული კონსტრუქტორის და მშენებლის მიერ

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისი, კაკაბაძის ქუჩაძე ნაკვ. #01.1 . .0 . -ში ინდივიდუალური სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური

კვლევის სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით.

2. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები.

3. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებულიმშენებელი

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ.ჭოხონელიძე



CV – ჭოხონელიძე გუგა

გვარი სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძე №10, ბინა 25 ტელ: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ გეოლოგიის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის – აკადემიკოსი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკის და ფუძე - საძირკვლების მიმართულების ხელმძღვანელი.
